№ 10 ყოველდღიური გაზეთი

# ჩვენი ცხოვრება

წელიწადი 1. ხუთშაბათი 12 ივლისი 1912

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი, რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

ფართლეულობის მაღაზია

სავაჭრო სახლი ს. მ. ვართანოვი და ამხ.

ვორონცოვის ქუჩა სახლი ჭიჭინაძისა.

იშოვება დიდი ძალი ახალი მოდის ფართლეულობა. ფასები ძლიერ ზომიერია და უვაჭროთ შაბათობით ნაჭრების იაფი გაყიდვა.

ტერეზი გოგიბერიძე, პლატონ ჯაჯანიძე, ალექსი გოგიბერიძე, ნინო, გიგო, დიმიტრი, ერმილე ალექსანდრე შარაშიძეები გულითად მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი შვილის, მეორე—მეუღლის, მესამე დის და დანარჩენნი უძვირფასესის დისწულის

პელაგო ჯაჯანიძის,

გარდაცვალებას ცემში მიცვალებულს მოასვენებენ ქუთაისში პარასკევს 13 ივლისს ვაგზალზე დილით. დაკრძალვა მოხდება ამავე დღეს დილის, აქედან 9 ს. მიცვალებულს პირდაპირ წაასვენებენ საფიჩხიის სასაფლაოზე.

ალექსანდრე დავითის ძე შარაშიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას დაუვიწყარი დისწულის

პელაგო ჯაჯანიძისას

დაკრძალვა მიცვალებულის მოხდება 13 ივლისს დილით 9 საათზე.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზე კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ვოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

3—9—1

მუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით მათე გორგილაძე და ამხანაგობა.

მისამართი: სუდებნი ქუჩა, სახლი № 6. 20—9—1

## განცხადებანი

### თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ.

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; ვასილ ხუცავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის იადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულევთან. 4) ნაძალადევში (ნახალოვკა) მომხმარებელი საზოგადოება „მომავალის“ მაღაზიაში.

Курсистка Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметам, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

ექიმი მ. მგალობლიშვილი იღებს ბავშთა, შინაგან და ქალებით სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

ბარინის ქ. № 5, პოლიცმეისტრის კანცელარიის გვერდზე. 9—თ.

თფილისი, ნაძალადევი.

ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა ნაძალადევში რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში. სწავლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და საღ. 5—7 საათ.

ექიმი ირ. ციხანოვსკი ღებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

ჭიათურაში

ჟურნალ-გაზეთების აგენტთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ. „ჩვენი ცხოვრება“-ზე. მიიღება აგრეთვე ყოველგვარი განცხადებები, იმავე გაზეთში მოსათავსებლათ. ამასთანავე ზოგიერთ აქაურ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ რომ დროზე გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიში; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოვაქვეყნოთ და თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა, მაშინ მათთვის უფრო შესაფერ სასტიკ ზომასაც ივმართავთ.

გაზ. ბიუროს აგენტი ჭიათურაში.

## ნორმალური დასვენება.

ნორმალური დასვენების საკითხი სფინქსის საკითხათ გადაიქცა ჩვენი ქალაქის თვითმართველობებისათვის. არ იქნა, არ მოხერხდა ისეთ წესების შემუშავება, რომელსაც ცხოვრებაში გასავალი ქონოდა და ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა სავაჭრო სახელოსნოებში მომუშავეთა მდგომარეობა ქუთაისმა შარშან ზაფხულში შემოიღო დასვენების წესები და მაშინვე უარყო, რადგან იგი თურმე „მეტათ შემავიწროებელი და გამოუსადეგარი“ შეიქნა... ვაჭრებისათვის. თფილისმაც ორჯერ შეიმუშავა ასეთი წესები, ორჯერ დაამტკიცა იგი სათანადო მთავრობამ, მარა ორივეჯერ მის წინააღმდეგ ამხედრდენ ვაჭრები და იგი ახლაც გაუქმების წინაშე დგას.

რა არის ამის მიზეზი?

მართლა დაშლა-დამხობა მოელის მთელ ვაჭრობას და მის თვითოეულ დარგს ამ წესების განხორციელებისაგან, როგორც ამას ვაჭრთა საჩივრები ირწმუნებიან?

რასაკვირველია, არა. არც ერთ ჭკვათა მყოფელ ადამიანს არ მოუვა თავში ასეთი აზრი. ეს არ სწამთ თვით საჩივრის შემტანაც. მარა თუ ისინი მაინც წუწუნებს, ეს მხოლოდ მათი კონსერვატიზმის მაჩვენებელია. ყოველი ცვლილება ამ დარგში, ყოველი შემზღუდველი ზომები მათ ეზარებათ, როგორც ახალი წესი, ძველებური თვითნებობის შემბოჭველი, ეჯავრებათ, როგორც ნორმის, წესის შემომტანი ცხოვრებაში. მეფურნე დარწმუნებულია, რომ, თუ დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე არ ექნა ნებულება პურის გაყიდვისა, მისი მყიდველები შიმშილით ამოწყდებიან და ისიც, ვაჭრობა-შემცირებული, იძულებული იქნება ფურნე მიხუროს. ასე გონია მეხორცესაც. თუ მაინცა და მაინც საღამოს არ მოიტანა ხორცი, როგორც ეს დღესაქვს წესათ, გვარწმუნებს, რომ ხორცი აღარ გაიყიდება. მყიდველიც ასევე ფიქრობს. მასაც სურს მაშინ იყიდოს, როცა მოეპრიანება, ხან შუადღეზე, ხან შუაღამეზე; იგიც თავის ცხვირს იქით არ იხედება, და თავის კაპრიზების დაუკმაყოფილებლობა დიდ არეულ-დარევათ მიაჩნია. სრულ ის ფაქტი, რომ იგი ამიერიდან სავალდებულო დასვენების შემოღების გამო იძულებული თავის დროზე იყიდოს სანოვაგე, თავის დროზე იყიდოს ხილი გაიკრიჭოს და სხვ.—მას დიდ არეულობათ მიაჩნია, აბა ეს როგორ შეიძლება. ის, რაც ყოველ კულტურულ ქვეყანაში და თვით რუსეთის მრავალ ქალაქში უკვე დიდი ხანია ესათაა შემოღებული, სრულიად ნორმალურ მოვლენათაა ჩნეული, ჩვენში თითქმის „სოციალისტობათ“ მიაჩნიათ. მ საფრთხობელი სახელით ცდილობენ მის გაუქმებას.

ეს საერთო უკულტურობაა ჩვენი საზოგადოების, და ეს უკულტურობა ედება საფუძვლათ ამ უაზრო და საარაკო კონსერვატიზმს. თავისავათ სისწორით გაგებული ვაჭრობის ინტერესი სრულიადაც არ მოითხოვს ასე წესების უქონლობას. პირიქით, იგ სასარგებლო იქნება თვით ვაჭრებისთვისაც. პირველ ხანებში თავისთავათ ცხაია, ყოველი ახალი წესი რამდენიმეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს უჩვეველ მცხოვრებლებს; მარა მისი ეჩვევა არც ისე ძნელია. ბოლოს და ბოლოს საზოგადოებაც შეითვისებს იმ უცილო აზრს, რომ ყოველი საჭირო ნივთ უნდა იმ დროს განმჟლობაში შეიძინ, როცა სავაჭრო გაღებულია. მარა მა თავისთავათ არ სურს და არც შეუძლია ამის განხორციელება. ისინი კი, ვინც ყველაზე უფრო დაინტერესებულია ამ დასვენების საკითხით, ე. ი. სავაჭრო სახელოსნოებში მომუშავენი—სამარისებრ სდუმან... ან უკეთ, მათ ხმის ამოღების ნებას არ აძლევენ. მიუხედავათ იმისა, რომ დასვენების შემოღება თვით ვაჭრებსაც, განსაკუთრებით წვრილებს, შეძლებას მისცემს საღამოობით მაინც თავის ოჯახში ცოლ-შვილში გაატარონ დრო, კვირა-უქმე დღე შეისვენონ, ერთი სიტყვით, ადამიანს დაემსგავსონ და არა გროშების მოსახვეტ მანქანას, მიუხედავათ ამისა, ვაჭარ-მედუქნეები ამ წესების შემოღებისთვის ხელს არ გაანძრევენ, პირიქით, კონკურენციით გატაცებულნი, გროშებისგან დამონებული მანქანები მთელ თავის ძალას მის წინააღმდეგ ხმარობენ.

თვით ცხოვრება, და მისი პირობები ართმევენ მათ შეძლებას ადამიანის—გაადამიანებისთვის იზრუნონ, ცხოვრების კულტურული პირობები შექმნან. და ჩვენი თვითმართველობებიც, სადაც მათი წარმომადგენელნი სხედან, იძულებული არიან წაჯიქ-უკუჯიქობა ითამაშონ, დღეს დაადგინონ—ხვალ გააუქმონ, ისევ დაადგინონ, ისევ მოშალონ და ასე კეკემალულობა ითამაშონ. და სანამ საერთო პირობები რამდენიმეთ მაინც არ შეიცვლება და დაინტერესებულთა, ე. ი. თვით მოსამსახურეთა ხმას—მნიშვნელობა არ მიეცემა—მანამდე „ნორმალური დასვენება“—ნორმალურ პირობებში ვერ ჩადგება.

## ახალი ამბები.

✦ ყველა მასწავლებლები და ინსპექტორები, რომლებიც სახალხო სკოლების მასწავლებელთა კურსებზე იყვენ ბორჯომში, უკვე დაბრუნდენ ქუთაისში.

✦ ქუთაისის ქუჩებში განცხადებებია გაკრული. ადმინისტრაცია აცნობებს მცხოვრებლებს რუსეთის ნაპოლეონის ჯარზე გამარჯვების ასი წლის თავის მოახლოებას.

✦ ქუთაისის გუბერნიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე ბ-ნი ავერიკოვი, რომელიც სვანეთში იყო წასული სამრევლო სკოლების სარევიზიოთ, ქუთაისში უკვე დაბრუნდა.

✦ გაზეთ „კავკაზის“ ცნობით თფილისის გუბერნატორმა ნება დართო ი. რ. ვაჩნაძეს და კ. ი. ტყავაძეს გამოსცენ მათ სიღნაღში ქართულ ენაზე ყოველდღიური გაზეთი „კახეთის ხმა“

✦ ს. ლიხაურში განუზრახავთ დააარსონ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება. ამ მიზნის განსახორციელებლათ ლიხაურელებს თხოვნა შეუტანიათ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობაში.

✦ თფილისის გაზეთების ცნობით 10-ივლისს ნაშუადღევის 2საათამდე სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიაში შეტანილ იქნება რუსულ კურიიდან 36 კაცი და საერთოდან 839.

✦ ახალგაზდა მხატვარის კოტე ქავთარაძის-მიერ დანიშნული საღამო იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემათ 9 ივლისს, 12 ივლისისათვის გადიდო.

✦ ქალაქის თავი ილია ჩიქოვანი გაემგზავრა საზღვარგარეთ, ქალაქის თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა გამგეობის წევრი ბ-ნი პ. მოსიძე.

✦ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი ამ დღეებში გამართავს ქალაქის თეატრში იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემათ სალიტერატურო დილას.

✦ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას მოსკოვიდან წინადადება მოუვიდა—მიიღოს მონაწილეობა მოსკოვში სრულიად რუსეთის სახალხო უნივერსიტეტების მოღვაწეთა კრებაში. ეს კრება მოხდება დეკემბერში.

✦ როგორც გაზეთების მკითხველებმა იციან, განსვენებულ ქველმოქმედ დ. სარაჯიშვილის ქვრივმა აღუთქვა ქუთაისს თეატრის დარბაზის ასაგები თანხა. ქალაქს ქველმოქმედისათვის შენობისათვის მიწა უნდა ეშოვა. ქალაქმა აღმოაჩინა მიწა თეატრის დარბაზისათვის და ახლო მომავალში ცდილობს მის შეძენას.

✦ ქუთაისში რიონზე მეოთხე ხიდის აგების გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა უკვე დაამთავრა ქალაქის ინჟენერმა მიხაილოვსკიმ. ამ დღეებში ის გეგმასა და ხარჯთ—აღრიცხვას წარუდგენს ქალაქის თავს.

✦ დ. სურამი. კვირას, 15 ივლისს ადგილობრივ თეატრში ქართველ მსახიობთა: ო. ლეჟავას, ა. შოთაძის, ი. ზარდალიშვილის და ი. გრიშაშვილის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა და საღამო-მეჯლისი. ესეთი საღამო პირველათ იმართება დაბა სურამში.

✦ თფილისიდან გვაცნობებენ: დრამატიული გამგეობა ჯერ-ჯერობით პირობით შეეკრა შემდეგ მსახიობთ: ი. ზარდალიშვილს, ნ. ჯაფხიშვილს, ა. შოთაძეს.

✦ ღვდლის დახრჩობა. 10 ივლისს, კათოლიკეთა ქუჩაზე, ღვდელი პორფილე მახარაშვილი ჩასულა მდინარის ნაპირას—წყლის ამოსატანათ და პირის დასაბანათ. შემთხვევით ფეხი დაცთენია, წყალში ჩავარდნილა და დამხრჩვალა.

✦ კვირას საღამოს 5 საათზე, ხონის ბაღში გაისმა ორჯერ რევოლვერის ხმა; როგორც შემდეგ გამოირკვა, ვინმე ლომაძეს ჩხუბი მოსვლოდა ვიღაც ყმაწვილთან. რევოლვერის ტყვიით დაიჭრა გამვლელი მაჭარაძის ქალი. დაჭრილი იმ საღამოსვე ქუთაისში წაიყვანეს.

✦ გაზეთის გასავალი სამტრედიაში დღიურათ იყიდება „ჩვენი ცხოვრება“ 50 (ხელის მომწერლები ყავს 31-ი) სულ 81-ი „სახალხო გაზეთი“ ხელზე იყიდება 20-ი, „კოლხიდა“ 20 Закавказская рѣчь 20.

### ფოთი.

— კარგი ხანია რაც ფოთში შანტაჟი მოისპო და ამ მხრივ საზოგადოება მოსვენებული იყო, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ისევ იჩინა თავი.

ამ დღეებში მუქარის ბარათები მიუღიათ შემდეგს ადგილობრივ ვაჭრებს: ვ. ფირალოვს, მ. ყურუას და შ. ცხადაიას. საჭიროა საზოგადოებამაც ენერგიულად შეებრძოლოს მათ და ალაგმონ.

— 7 ივლისს, რკინის გზის ადმინისტრაციამ რკინის გზის ყოფილ არტელის მუშებს, ეხლა კი რკინისგზის მუშ. დაქირავებულთ, რიცხვით 154 კაცს, კატეგორიულად განუცხადა, 19 კაცი უნდა დაითხოვოთო.

— 8 ივლისს, ღამის 11 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ოკუჯავას სახლს. თუმცა ცეცხლის მქრობელი რაზმი მოეშველა, მაგრამ ცეცხლის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია. სახლი დაზღვეული ყოფილა.

— ადგილობრივი ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა მეოთხე სათათბირო საარჩევნო სიის შედგენას, მაგრამ ჯერჯერობით ამის შესახებ გამოცხადებული არაფერია. ნეტა რათ არ აცხადებენ საჯაროთ რაიმეს ამ სიების შედგენაზე?

— პლატფორმის მარგანეცის მუშებში ავანტიურის მუდამ ქონდა ადგილი. შედეგები კი მთელი თავის სიმძიმით მუშებს აწვებოდა. ამავე მუშებში „არისტოკრატი" მუშები ხშირათ მეტოქისა და მოიჯარადრის როლში გამოდიოდენ.

ეხლაც სოფლიდან ჩამოსულა ხუთი ძველი მუშა, რომლებიც სამი წელია რაც სოფლად ყოფილან. „გაპოდრიაჩიკებულ ამხანაგობას ისინი სამუშაოზე არ დაუშვია და მათაც მიუმართავთ ასეთი საგნებიზა: შეუკრებიათ რამდენიმე უმუშავერი და ფარვუდის წარმომადგენელ ზივერტისათვის თხოვნა მიუციათ-სამუშაოს ჩვენ (ახალი არტელი?) ავიღებთ ნაკლებ ფასებშიო., ბ-ნ ზივერტს ჯერ პასუხი არ მიუცია მათთვის, მაგრამ. ეჭვი არაა კაპიტალის წარმომადგენელი სიამოვნებით შეხვდება ასეთ განცხადებას. ეს კი გაბატონებულ „პოდრიაჩიკ-მუშებზე" იმოქმედებს—, ისინიც დაუწევენ ფასს და ამ რიგათ სრულიად დასცემენ ისედაც მცირე ხელფასს.

დროა შეიგნონ მარგანეცის მუშებმა რომ ერთი მეორის წინაალმდეგ ბრძოლით მხოლოდ მტრებს ახარებენ..

# დეპეშები.

(პ. ტ. ს.).

**პეტერბურგი.** ჟურ. „რუსკი ინვალიდ"-ში დაბეჭდილია: 1 ივლ. საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე თურქესტანის ჯარის პირველი და მეორე საპიორთა ბათალიონის ბანაკის წინ, რომელიც ქ. ტაშკენტის ახლო ს. ტროიცკაში იყო დაბინავებული, შეგროვდა 100—130 სალდათისგან შემდგარი ჯგუფი და „ურას" ძახილით უწესრიგო სროლა ასტეხა ჰაერში; მერე, როცა დაინახეს, რომ სხვა როტებიდან მათ არავინ ემხრობოდათ და აფიცრები თავის ალაგზე მიიჭრენ, თოფები დაუშინეს თვით ბანაკს; პირველათ შეტაკება მოუხდათ აჯანყებულებს მეორე როტასთან, რომელმაც თავისი კამანდირის ქილცოვის წინამძღოლობით აჯანყებულების უკუქცევა მოახერხა, შემდეგ ასტეხეს განგაში, რომლის ხმაზე მიეშველენ პირველი და მეორე ბათალიონის სხვა როტები, აგრეთვე იქვე ახლო მდგომი ჯარის სხვა ნაწილები, მაგალ. მსროლელთა რაზმები. აჯანყებულნი სროლით შეხვდენ მსროლელთა რაზმს, რომელმაც სროლითვე უპასუხა და შესძლო მათი გაფანტვა. მალე ისინი „ბოჟე ცარია ხრანის" სიმღერით საპიორთა ბანაკს მიუახლოვდენ, შემოერტყენ გარს კაზაკების დახმარებით და გათენებისას, ვინც კი დაბრუნდა უკანვე ბანაკში გაქცეულთაგანი, ყველანი დაატყვევეს და იარაღი აყარეს. ასეთების რიცხვი 170 მდე ავიდა, რომელთაგან, რა თქმა უნდა ყველა არ იღებდა აჯანყებაში მონაწილეობას, ბევრი მათგანი ბანაკიდან შიშით გაქცეულიყო 2 ივლ. დილით წესიერება აღდგენილ იქნა. ბანაკის ირგვლივ მცველთა ჯგუფები დააყენეს. ჯარის ყველა ნაწილი ყოჩაღათ იყო და დიდ ერთგულებას იჩენდა. თურქესტანის სამხედრო ოლქის მთავარ სარდალმა საქმის გამოსარკვევათ ცნობის მიღებისათანავე ადგილზე გაგზავნა გენერალი კოზლოვსკი, მერე თვითონაც წავიდა და ნახა, რომ წესიერება სრულიათ აღდგენილი იყო. გამოირკვა, რომ შეტაკების დროს აჯანყებულებმა მოკლეს შტაბს კაპიტანი პოხვისნევი, მძიმეთ დასჭრეს პოდპორუჩიკები შადსკი და კრასოვსკი, ამათგან ეს უკანასკნელი მალე გარდაიც[illegible] მსუბუქათ დაიჭრენ პოჯარ. კოშინეცი და კაპიტანი უილცოვი, ამათ გარდა შემთხვევით დაჭრილი არიან არტილერიის კაპიტანი სკოპინი. ერთი არტილერიის სალდათი და 11 საპიორი, რომელთაგან ერთი მოკვდა.

**პეტერბურგი.** 5 ივლ. უმაღლესად დამტკიცდა დუმისგან და სახელმწიფო საბჭოს მიერ მოწონებულ კანონ პროექტთა შორის: ჯაშუშების მხრივ სახელმწიფოს ღალატის შესახებ კანონების შეცვლა; გლეხებს მიცეს სანადელო მიწების გირაოს ქვეშ საგლეხო ბანკიდან სესხი. დააკავეს ჟურნალ „პრავდის" მე 27 №.

### სპარსეთი

**თავრიზი.** პოდპოლკოვნიკი რადჩენკოს რაზმი უკვე შეუერთდა აგარაში ტოლმაჩევის რაზმს. არდებილიდან იუწყებიან, რომ გენერალი ვიდაროვი თავის რაზმით კონსულკენდში დაბანაკდა; 7 ივლ. ტყვიით მოკლულ იქნა შემთხვევით კაზაკი. სპარსელთა რაზმმა ბრძოლა გაუმართა შახსევანებს, რომლებმაც გუბისაკენ დაიხიეს.

### აჯანყება ალბანეთში.

**პრიზრენი.** პორტამ ბრძანება გამოუგზავნა ჯარებს, რომ გზა მისცენ არნაუტებს კოსოვო-პოლესაკენ, სადაც მიდის კომისია, რომ არნაუტების საკითხი მოაწესრიგოს. პრიზრენიდან იქ ათასზე მეტი პრიშტინელი წავიდა. ალბანეთის კონგრესზე კოსოვო-პოლეში 1,000-მდე შეიარაღებული არნაუტელი მიდა თავის წინამძღოლების მეთაურობით; პრიშტინში და მის მიდამოებში მდერი ჯარი მათ უახლოვდება და კავშირს იჭერს მათთან.

**კონსტანტინეპოლი.** მინისრთა საბჭომ კომისია გაგზავნა ალბანიში სენატორ რეშიდა-აკიფ ფაშას თავმჯდომარეობით, რომ ადგილზე გამოირკვას ალბანელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხი. ამბობენ 10 ივლისს საალყო სამხედრო სასამართლოს გააუქმებენ.

**კონსტანტინეპოლი.** მინისტრთა საბჭოს თათბირი აქვს გამართული საყოველთაო ამნისტიის შესახებ. ყველა გაზეთები, გარდა „საიდუმლო"-სა სიხარულით ეგებებიან ახალ კაბინეტს. სტამბოლის კომენდანტი გამოცვალეს, დაინიშნა საფეტბეი.

## ლენის ამბები.

პირველი პარტია მუშებისა, რომელთაც თავი გაანებეს ლენის მაღაროებს და სამშობლოში ბრუნდებიან, ხუთ ივლისს ვიტიმში ჩამოვიდა.

— საკითხი - მისცეს თუ არა სამართალში ლენის ამხანაგობის [illegible] ნელნი ტალონებით მუშებისათვის ხელფასის გასწორებისათვის, საბოლოოთ გადაწყდება ირკუტსკის საოლქო სასამართლოში.

— „რუსკოე სლოვოს" სიტყვით, პეტერბურგში მიუღიათ მუშათა ინტერესების დამცველ ვექილებისაგან შემდეგის შინაარსის დეპეშა: დღეს, 5 ივლისს სამი „ბარჟით" გამოვიდა პირველი პარტია მუშებისა, რიცხვით 500 ოჯახი, სულ 800 სული. მუშები გახარებული არიან, რომ აქაურობას შორდებიან. ზოგი მათგანი სიღარიბის გამო დიდიხანია მოკლებული იყო სამშობლოს ნახვას. ლენის მიდამოების მოგონება ყველასათვის მწარე და უსიამოვნოა. სადგურ უსტ-კუტამდე მუშები „ბარჟით" მივლენ. ხუთ მუშას, რომელთაც გაფიცვის კომიტეტის წევრობა ბრალდებოდათ და ამის გამო დაპატიმრებულნი იყვნენ, სასჯელი შეუცვალეს სამშობლოში პოლიციის თვალყურის დევნებით. 2 ივლისს სასამართლოში საჩივარი ერთი მუშის სასარგებლოთ გადაწყდა; ეს საჩივარი სხვა მუშებისათვის სამაგალითოა. ლენის ამხანაგობის წარმომადგენელი პერელომოვი ამტკიცებს, რომ ტალონებს ერთობ მცირეს ყაძლევდით მუშებსო და დასამტკიცებლათ შემდეგი საბუთი წარმოადგინა: ოქტომბერში მივეცით ტალონი 343 მუშას, ნოემბერში 727, დეკემბერში 970, იანვარში 1,175, თებერვალში 1,495, იმ დროს, როდესაც ორთა შუა რიცხვი მუშებისა იყო 5,500. ეს ციფრები მჭევრმეტყველურათ ამტკიცებენ პერელომოვის მტკიცების წინააღმდეგს. ტალონების ზრდა, როგორც ვხედავთ, პროგრესიულათ ხდება და, რომ გაფიცვას არ მოესწრო, წლის ბოლოს ყველა მუშას ტალონები ექნებოდა. შემდეგ მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა, რომ მუშები ტალონების მიღებით და ლენის ამხანაგობის მაღაზიებში სანოვაგის ყიდვით 10% კარგავდენ. 7 ივლისს გაირჩევა საქმე ბელოზეროვისა და სხვების— მუშებისათვის ტალონებით გასწორების შესახებ. წამოსულ მუშების შესახებ ცნობებს გვაწვდის მალკოვი. საჭიროა მუშების დახმარება.

— ირკვევა, რომ ლენის ამხანაგობას წინადადება მიუცია ციხეთა უწყებისათ-

# სახელმწიფო დუმის ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებში.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში" (12-ტ **ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე თფილისში** და სხ.) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ახლა შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხდება 2 კვირიკობისთვეს შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი და ამისგამო ახლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცთილობდენ, ეს დრო არ გაუშვან ხელიდან შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღე დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა:

ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

**განცხადებების დროს თან უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინა გაქვთ დაქირავებული.**

ასეთ მოწმობათ გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრაქტები, თუ მისი შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა და ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კანტრაქტები ძვირათ იკვრება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხდება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარედგინოს **ან ბინის წიგნი**, თუ ასეთი მოიპოვება, **ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა**, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა, დასახელებულ დოკუმენტების შემოწმებას შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან ტესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მიერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ახლავე შეუდგენ თადარიგს.

როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი გავცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

# ფელეტონი.

## პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში*).

თავი დავანებოთ იმას, რომ პრესას მთავრობა სდევნიდა და მის აზრს ოდნავადაც არ აქცევდა ყურადღებას, ჟურნალისტებს ასობით ციხეში სვამდა, გაზეთებს ხურავდა და სხვა. გაზეთებში წერა მეტად უპატიოსნო საქმედ ითვლებოდა. ჯერ კიდევ 1828 წელს, რადიკალების აგიტაციის შემდეგ, ადვოკატთა კორპორაციამ აღუკრძალა თავის წევრებს გაზეთში მონაწილეობის მიღება, რადგანაც მისი აზრით, გაზეთში წერა ამცირებდა კაცს და ღირსებას ხდიდა. პოლიტიკური მოღვაწეები თუ თანამშრომლობდენ გაზეთში, რაც იშვიათი მოვლენა იყო, ამას შვრებოდენ ყველასაგან დაფარულათ. მღვდელი თუ ქადაგებას იტყოდა ეკლესიაში, ეს მეტად კეთილშობილური საქციელი იყო. ხოლო თუ ის მღვდელი, ან სხვა ვინმე ამ ქადაგების შინაარსს გაზეთში მოათავსებდა—ეს მეტათ უპატიოსნო საქციელი იყო. გაზეთი სამასხრო რამ იყო. რადიკალურმა პარტიამ გაზეთს შინაარსი მისცა, გააცოცხლა და თავისი აზრების გამავრცელებელ იარაღათ აქცია. გაზეთი საზოგადოებრივ აზრის მატარებელი გახდა, იდეის მოსამსახურე. ამის შემდეგ იწყება ინგლისში პრესის განვითარება და მისი დიდი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც ჩვენ ვხედავთ, საარჩევნო უფლების რეფორმის დამცველებს ყოველნაირი იარაღისთვის მიუმართავთ. მათი ენტუზიაზმი არაფრიდან ქმნიდა იარაღს და თავის მოწინააღმდეგისკენ მიმართავდა. მოწინააღმდეგემ სასტიკ ზომებს მიმართა. ციხეები ხალხით გაავსო. მიტინგები იარაღით დაფანტა, გაზეთები დახურა და ჟურნალისტები სამშობლოდან განდევნა,—და ყველა ეს იმით დააგვირგვინა, რომ 1820 წელს მოძრაობის ხუთი მეთაური ჩამოახრჩო. მაგრამ საარჩევნო რეფორმის კითხვა დასმული იყო და მთავრობაც იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამისთვის. როგორც ეს ხშირათ ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რევოლიუციონური მოძრაობის წამოსროლილი ლოზუნგი მთავრობამ თავისათ გაიხადა და 1832 წელს საარჩევნო რეფორმა მოახდინა: ამ რეფორმამ მოსპო «დამპალი დაბები», მოახდინა ახალი განაწილება საარჩევნო ოლქებისა, და შეამოკლა საარჩევნო ცენზი. მართალია, საარჩევნო უფლება გაფართოვდა, მაგრამ ინგლისის უმრავლესობა მაინც უუფლებოთ დარჩა. ამას შედეგათ მოყვა ცნობილი ხარტისტების მოძრაობა (1837—48). აქ მოქმედებდენ უმთავრესათ მუშები, რადგანაც მათ წინანდელი მოკავშირე-ბურჟუაზია რეფორმით დაკმაყოფილდა. ხარტისტები იცავდენ იმ პროგრამას, რომელიც წამოაყენა რადიკალურმა ბურჟუაზიამ და რომელსაც მან უღალატა. ზოგიერთები თხოულობდენ საარჩევნო უფლებას ქალებისთვისაც. აქედან იწყება ის ხანა ევროპაში, როდესაც ბურჟუაზია თან და თან ღალატობს თავის ლოზუნგებს და ეს ლოზუნგები პროლეტარიატს საპატრონოთ რჩება, დემოკრატიის ნამდვილ დამცველათ მუშათა კლასი გამოდის. ხარტისტების მოძრაობა ძლეულ იქნა და რამდენიმე ხნით მოძრაობა შეჩერდა. 1866 წელს როსელ-გლადსტონის სამინისტრომ პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი, რომელიც საარჩევნო ცენზს უფრო ამოკლებდა, მაგრამ სამინ-სტროს თვით ტორებმა (ლიბერალებმა) უღალატეს და კონსერვატორებთან შეერთებით იძულებულ ყვეს სამინისტრო სამსახურიდან გასულიყო. კონსერვატიული სამინისტრო (დიზრაელი) რეფორმის წინაალმდეგ იყო. ამ დროს სცენაზე გამოდის მუშათა კლასი მას მეთაურობს კომიტეტი, რომლის წევრებად ჩვენ ვხედავთ ტრედიუნიონების (მუშათა პროფესიონალური კავშირის) ხელმძღვანელებს. იმათ მიმართეს რდიკალებისაგან და ხარტისტებისაგან ცად საშუალებას: მიტინგებს და პრესას. **დიზრაელის კონსერვატიულ სამინისტრო** იძულებული იყო რეფორმის გზას დასდგომოდა. ის აიძულ მუშათა მოძრაობამ, რომ 1867 წელს კიდევ უფრო შეემცირებინა საარჩევნო ცენზი. ამ კანონის ძალით მუშების ერთ ნაწილს, როგორც ბინის დამქირავებლებს, საარჩევნო უფლება მიეცათ. ამ ნაირად საარჩევნო უფლება თან და თან ფართოვდებოდა, მაგრამ საარჩევნო ოლქის განაწილება ისევ ძველი რჩებოდა. ამასთან საარჩევნო ცენზი ერთნაირი არ იყო მთელ სახელმწიფოში. 1884 წელს გლადსტონის სამინისტრომ გაიყვანა ახალი საარჩევნო რეფორმა, რომელიც დღესაც მოქმედებს ინგლისში და ამიტომ ამ რეფორმას უფრო ვრცლათ შევეხებით. ახალმა კანონმა წაართვა 105 დაბას (თითო დაბაში 16 ათასზედ მცხოვრები) ნაკლებ დეპუტატის არჩევის უფლება, მხოლოდ 37 დაბას, სადაც 5 ათასზედ ნაკლებ მცხოვრები ითვლებ დეპუტატის არჩევის უფლება შეუნარჩუნა. თავისუფალ ადგილები დაურიგ ოლქებს ისე, რომ 50 ათას მცხოვრებზედ თითო დეპუტატი მოდის. თავის თავად ცხადია, რომ ამ რეფორმის შემდეგ დიდმა ხანმა განვლო და ინგლისს ისევ ესაჭიროება საარჩევნო ოლქების ახლო გადაყოფა, რადგანაც ზოგიერთ ოლქში მცხოვრებლებმა იკლეს, ხოლო ზოგიერთში იმატეს და ისევ უსწორ-მასწორობა არსებობს დეპუტატთა ადგილების განაწილებაში. რეფორმა არ არის დემოკრატიული, რადგანაც არ არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლება, როდესაც ყველა სრულ წლოვან მოქალაქეს ხმა აქვს დეპუტატის არჩევაში. ინგლისში საარჩევნო ხმა აქვს სახლის პატრონს, რომელიც უძრავ ქონებაზე გაწერილ გადასახადს იხდის და საკუთარ ბინის დამქირავებლს, რომელიც ბინის ქირათ იხდის ათ გირვანქა სტერლინგს, ესე იგი ას მანეთს. ამასთან ის ბინის დამქირავებელი—ერთ ადგილას უნდა სცხოვრობდეს არა ნაკლებ ერთი წლის. გამოდის, რომ ვისაც რამდენი სახლი აქვს, იმდენი ხმავე აქვს, ხოლო ვისაც თავის სახელზე არ აქვს ბინა ნაქირავები, იმას არც ერთი ხმა არა აქვს. მაგალითად სრულ წლოვან შვილებს, რომელნიც მამასთან სცხოვრობენ, მუშებს, რომელნიც პატრონის ოჯახში ცხოვრობენ; მუშებს, რომელნიც სამუშაოს გამოცვლით ბინას იცვლიან და სხ ამნაირათ დღეს თითქმის **სამ მილიონ სრულ** წლოვან ინგლისელს ხმის უფლება აღარ აქვს. არჩეულ დეპუტატებს დღესაც ჯამაგირი არა აქვთ და ეს მეტათ მავნებელია მუშათა პარტიისათვის, რომელსაც დეპუტატების შენახვა მძიმე ტვირთად აწევს. პალატა ირჩევა შვიდი წლით და მისი დათხოვნა მთავრობისაგან არის დამოკიდებული. ქალებს არავითარი პოლიტიკური უფლება აღარა აქვთ ინგლისში—და ამნაირათ მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ინგლისში ჯერ კიდევ შორსაა ნამდვილი დემოკრატიული რეჟიმი. ზედ დაუმატეთ ზემო პალატის, ან ლორდთა პალატის არსებობა. ეს დაწესებულება, რომლის უფლება ამ ბოლო წელს ზოგიერთ კითხვებში (მაგ. ფინანსიურ საკითხში) მთლათ შეიკვეცა, შესდგება ინგლისის არისტოკრატიისაგან. ესენი არიან ინგლისის ჰერცოგები, მარკიზები, გრაფები, ვიკონტები და ბარონები, რომელთაც მიუღიათ ლორდობის ხარისხი მეფისგან და ამ ხარისხის ძალით ითვლებიან ზედა პალატის წევრებათ. ისინი თავიანთ ხარისხს და ზემო პალატის წევრობას სიკვდილის შემდეგ უფროს შვილს გადასცემენ. ამისთანა „ბრწყინვალე პალატის" წევრები დღეს ლონდონში 472 ითვლებიან. ესენი მემკვიდრეობით პალატის წევრებად ითვლებიან. ამასთან 88 შოტლანდიის პერი (არისტოკრატები) ირჩევს შვიდი წლით 16 ლორდს, ხოლო ირლანდიის პერები, რიცხვით 176, ირჩევენ თავის მხრივ 28 ლორდს. საერთოდ ამ ლორდებს მეტის-მეტათ არ უყვართ სიარული პალატის სხდომებზე. მაგრამ თუ ისეთი კანონი, გადის, რომელიც მათ ინტერესს ეხება, ისინი უცბათ მოგროვდებიან ყოველ კუთხიდან ლონდონში და საომრათ დაემზადებიან. ასე მოიქცენ ისინი როდესაც ხალხის წარმომადგენლებმა ლორდ ჯორჯის კანონ-პროექტი მიიღეს მიწის რენტაზედ გადასახადის შესახებ. ლორდები მიწათ მფლობელები არიან, და მათ დიდი ალიაქოთი ასტეხეს და ეს ორი წელიწად ა მთელი ინგლისის პოლიტიკა ლიბერალურ სამინისტროს (რომელსაც მხარს უჭერს ქვედა პალატის უმრავლესობა) და ლორდთა შორის ამ ბრძოლის გარშემო ტრიალებდა. ლორდები, როგორც ვთქვით, ამ ბრძოლიდან დამარცხებული გამოვიდენ და ამასთან ერთად მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაისვა კითხვა ზემო პალატის რეფორმის შესახებ. ინგლისის სოციალისტები მოითხოვენ ზემო პალატის მთლათ გაუქმებას. ისინი იმეორებენ სიეიესის ცნობილ ფრაზას: „თუ ზედა პალატა ამბობს იმასვე, რასაც ქვედა პალატა —მაშ ის ზედმეტია, თუ კი ის ამბობს სხვა რამეს—მავნებელიაო". ამნაირათ, პირველი კონსტიტუციონალური რეფორმა, რომელიც დასმულია ინგლისში, ეს არის ლორდთა პალატის გაუქმება. ამას დღეს მარტო მუშათა პარტია ითხოვს, ხოლო ლიბერალები ამ პალატის რეფორმით კმაყოფილდებიან. ვისი იდეა გაიმარჯვებს—ამას მომავალი გვიჩვენებს.

მეორე მწვავე კითხვა, რომელიც დასმულია დღეს ინგლისში—ეს არის ქალთა პოლიტიკური ემანსიპაცია, მათთვის საარჩევნო უფლების მინიჭება. ამ ქალთა მოძრაობას ბურჟუაზიული ხასიათი აქვს არა მარტო იმიტომ, რომ სათავეში ცნობილი ბურჟუაზიულ წრის მანდილოსნები უდგანან, არამედ უფრო იმიტომ, რომ ისინი ყურადღებას არ აქცევენ უუფლებოთ დარჩენილ მუშებს და არც

(* იხ. „ჩვ. ცხ." № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პაიებით ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. გაყოფილებები: ქ. თფილისში, გიორგიევსკში, ანდღონში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и К°
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
полученъ огромный выборъ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситца и другихъ тканей съ модной каймой. მ—9—3

ვის, რომ თავის ხარჯითააშენებდა საკატორღო ციხეს ბოდაიბოში. ისიც კი აღუთქვამთ ციხეს ჩვენის ხარჯით შევინახავთო, მხოლოდ იმ აუცილებელ პირობით კი, რომ კატორღელები ამუშაონ ოქროს მადნებში განსაზღვრულ ხელფასათ.

(ციხეთა უწყებას ამგვარ წინადადებაზე უარი უთქვამს ლენის ამხანაგობისთვის იმ მოსაზრებით, რომ მთავრობისათვის უხერხულია კერძო პირებთან ამგვარი შეთანხმებაო.

## ანგარიში

ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზ. სენაკის განყოფილების გამგეობის მიერ გამართულ სეირნობისა 29 ივნისს

**შემოსავალი:** 1) ბაღში შემოსვლელი ბილეთის 205 [illegible] 2) შამპანიურის, ბანანერკების და ვარდების კიოსკების 117 მ. 43 კ. 3) ფოსტის 23 მ. 04 კ. 4) წყლისა და ლუდის 22 მ. 50 კ. 5) ვახშმის 84 მ. 50 კ. 6) ბედის ბოჭკის 87 მ. 16 კ. 7) მკითხავის მოგებული 15 მ. 36 კ. 8) ფულად შემოწირული 24 მ. 16 კ. სულ შემოსავალი 529 მ. 45 კ.

**ხარჯები:** 1) ბაღის სეირნობაზე დაიხარჯა 75 მ. 03 კ. 2) თაიგულებზე 45 მ. 45 კ. 3) ფოსტაზე 2 მ. 40 კ. 4) წყალზე და ლუდზე 13 მ. 30 კ. ვახშმის სამასპინძლოზე 25 მ. 69 კ. 5) სცენა და მუშების საზღაური 12 მ. სულ დაიხარჯა 173 მ. 87 კ. დარჩა წმინდათ (529 მ. 45 კ.—173 მ. 87 კ.) 355 მ. 58 კ.

გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს საზოგადოთ ყველას, ვინც თავისი წვლილი არ დაიშურა და ნივთებით თუ ფულით შეწირულება გამოიღო. კერძოთ კი თავისი საამო მოვალეობად თვლის მადლობა შესწიროს.

1) კნ. პაბილინა მხეიძისას, ფლორენცია კალანდარიშვილის ასულს, მაქსიმე მისამიშვილის და გიორგი ნადირაძეს—ბაღში შესასვლელ ბილეთების გაყიდვისათვის.

2) ალექსანდრა სალაყაიას ასულს, ნინა თევზაიას ასულს, ევგენი იაკიშვილს, გრიგოლ ძაძიგურს, ერმილე ჭეიშვილს, დიმიტრი გაბეჩქორიას, ლოგუას, გოგოლაშვილს და მაქსიმე მისაბიშვილს შეწირულებათა შეკრებისათვის.

3) ქალბატონთ: კარანგოზისას, ენუქიძისას, არსენიშვილისას, გამყრელიძისას, გაბუნიასას ბუფეტის წარმოებისათვის.

5) თავადის ქალს თამარა მიქელაძეს, ქალბატონ მარუგისას, ეკატერინე ვერულაშვილის ასულს, ნინა თევზაიას ასულს, ს. სალაყაიას ასულს და ავალიანის ასულს, თავიანთ კიოსკების წარმოებისათვის.

შემომწირველთა სიები და დაწვრილებითი ანგარიში დაიბეჭდება ცალკე ფურცლებად და დაურიგდება მსურველთ.

გამგეობის თავმჯდომარე **ოლღა ხოფერია**

წევრნი: **გ. მაღნარაძე**, **ან. ჭკადუასი**, **მღ. გ. გამზარდია**, **მიხ. თათარიშვილი**, **ნ. ჯიჯიხია**

მდივანი **პ. ლორთქიფანიძე**

ყველა ქალისთვის ითხოვენ საარჩევნო უფლებას. ისინიც ცენზიან ქალების ინტერესს იცავენ და მათ პოლიტიკურ ემანსიპაციას მოითხოვენ. მიუხედავად ამისა გამოესარჩლა ინგლისის პარლამენტში მარტო მუშათა პარტია ამ ქალების მოთხოვნილებას და მათი პეტიცია პარლამენტს გადასცა. ხოლო ლიბერალური სამინისტრო ძლიერ სასტიკათ ეპყრობა მათი ამომრჩევლების ცოლებს და დებს. კონსერვატორებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. მესამე კითხვა, რომელიც აინტერესებს დღეს ინგლისს—ეს არის დეპუტატებისთვის ჯამაგირის დანიშნვა, ხოლო მეოთხე კითხვა, რომელიც მწვავეთ არის დასმული—ეს არის ირლანდიის ავტონომია, მაგრამ ეს კითხვა მეტათ რთულია და ამაზე სხვა დროს მოველაპარაკები მკითხველს.

ჩვენი მიზანი იყო—მოკლეთ გაგვეცნო მკითხველისთვის ინგლისის პოლიტიკური ევოლიუცია და დღევანდელი საჭირბოროტო კითხვები. ჩვენ შევეხეთ ამ პოლიტიკას, რამდენათაც ის გამოიხატა კონსტიტუციის ცვლილებაში და განვიხილეთ მხოლოდ სახელმწიფოსცენტრალური ძალის შემადგენლობა. ჩვენ არ გვქონდა აზრათ აგვეწერა ინგლისის სოციალური და ეკონომიური ევოლიუცია, პარტიების წარმოშობა და განვითარება, ჩვენი დროის ნამდვილი დემოკრატიის პროლეტარიატის ორგანიზაცია. ვერ შევეხეთ კონსტიტუციის ისეთ ელემენტს, როგორიც არის ადგილობრივი თვითმართველობა და მისი კომპეტენცია. ბევრი საინტერესო რამ დაიწერებოდა ინგლისზე, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა ადგილი მოკლეთ მაინც გვესაუბრა მკითხველთან.

ამით ვათავებთ ინგლისზე ლაპარაკს და გადავდივართ გერმანიაზე.

**ბ. თეკლათელი.**

(შემდეგი იქნება).

## მეოთხე დუმის არჩევნები.

სინოდი და არჩევნები. მინისტრთა საბჭომ უარყო, რომ მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ, სამღვდელოებას განსაკუთრებული მოწოდებით მიმართოს სინოდმა.

მოწოდება ამრჩევლებისადმი. ვილნოში ებრაელთა საამომრჩევლო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ამრჩეველთ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ დუმის არჩევნები უდიდესი მოვლენაა სახელმწიფოს ცხოვრებაში. ამისათვის მოქალაქობრივი ვალი ყველას უკარნახებს, რომ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და ეცადონ ღირსეული წარმომადგენელი გაგზავნონ სახელმწიფო დუმაში.

შავრაზმელების აგიტაცია. დუმის არჩევნების მოსაწყობათ ჟიტომირის შავრაზმელებმა სხვა და სხვა მაზრებში გაგზავნეს აგიტატორი მიხაილოვი. თან გუბერნატორს სთხოვეს, რომ ხელი არ შეუშალოს მიხაილოვს.

საერობო გამგეობის უცოდინარობა და კანონი. პსკოვის საერობო გამგეობამ ამრჩეველთა სიების შედგენის დროს გამოიჩინა სრული უვიცობა საამრჩევლო კანონის ცოდნაში. სიები ისე უთავბოლოთ და უწესრიგოთ შეადგინეს, რომ ერთი არევ-დარევა გამოიწვია. იძულებული გახდენ ისევ ჩამოეღოთ და ხელახალ შედგენას შედგომოდენ.

პროგრესისტების ორგანო. იაროსლავის როსტოვში არჩევნების დროს საგიტაციოთ პროგრესისტები გაზეთს გამოსცემენ.

ოქტომბრისტები და მამადიანები. ტომსკის მამადიანებმა მესამე დუმის არჩევნებში ხმა ოქტომბრისტებს მისცეს, მარა ახლა მათი მოღვაწეობით უკმაყოფილო არიან და ხმასაც პროგრესისტებს აძლევენ.

ადესელი მემარჯვენენი. ადესის მემარჯვენეთ გადასწყვიტეს პირველ კურიაში წამოაყენონ ქალაქის თავის მოისეევის კანდიდატურა. მეორე კურიის იმედი არა აქვთ.

**მუშათა ამომრჩევლის შიში არჩევნებში.** ხარკოვში ადმინისტრაციამ წინადადება მისცა ქარხნის ინსპექტორს თავი დაანებონ ქარხნების დათვალიერებას, რომ ამით მუშათა მღელვარება არ გამოიწვიონ, რაც ადმინისტრაციის აზრით, არჩევნებზე გავლენას იქონიებსო.

შავრაზმელთა მოწოდება. რიგაში შავრაზმელთა კლუბში მოწოდება გამოუშვა, რომ საერთო პლატფორმით შეერთდენ არჩევნებში.

კადეტები. დასრულდა კადეტებსა და პროგრესისტებს შუა მოლაპარაკება არჩევნებში საერთოდ გამოსვლის შესახებ. პირველ კურიაში ერთად გამოვლენ; საერთო მოქმედების პროგრამას დაწვრილებით აგვისტოში შეიმუშავებენ. მეორე კურიაში კადეტები ცალკე, გამოდიან და წამოაყენებენ ისევ როდიჩევის, მილიკოვის და კუტლერის კანდიდატურას.

## რუსეთი.

**კავშირის დახურვა.** საგუბერნიო საკრებულომ (присутствіе) ვარშავაში დახურა პოლონელ დურგალთა და ხუროთა კავშირი.

**გაფიცვები.** რეველში გაიფიცენ ნახევრათ ოფიციოზურ გაზეთ „რეველსკია იზვესტია“-ს მუშები.

— კოვნოს გუბერნიაში გაიფიცენ კოგანის შოკოლადის ქარხნის მუშები. მოითხოვენ ხელფასის მომატებას და ზრდილობიან მოპყრობას.

— პეტერბურგში გოლბერგის საბულკეში დილას დაწყებული გაფიცვა საღამოზე დასრულდა; დაკმაყოფილებულ იქნა მუშების ყველა მოთხოვნილებანი.

— პასტორის ქარხანაში გაფიცვა გრძელდება.

— ვარშავაში ხელახლა გაიფიცენ ფანაშეკის ქარხნების მუშები. გარდა ამისა იმავ ქალაქში გაიფიცა ოცდაათი ქარხანა.

**სიტყვის თავისუფლება.** პიატიგორსკში დაიხურა გაზეთი „პიატიგორსკი კურ.“ ჯარიმის შეუტანლობის გამო.

— ტაგანროგში ასი მანეთით დააჯარიმეს გაზეთი „იუჟნი ტელეგრაფი“, რომელშიც გადაბეჭდილი იყო წერილი ერთ კავკასიურ გაზეთიდან ფოსტაში მოსამსახურეთა ცუდ პირობებში ყოფნაზე.

**ტუსაღების გაქცევა.** კიშინოვში ციხიდან გაიქცა ორი ტუსაღი. ერთი იმათგანი დაიჭირეს, მეორე კი მოკლეს.

ხოლერა. ასტრახანში ხოლერის უტყუარი ნიშნები აღმოაჩინეს. ორი კაცი იპივეს ავათ.

**სამრევლო შკოლები.** მინისტრთა საბჭომ საბიუჯეტო წესების მე-12-ტე მუხლის ძალით სინოდს მისცა უფლება დახარჯოს სამრევლო შკოლების მასწავლებელთა ჯამაგირებზე მიმდინარე წლის განმავლობაში 1.550,000 მ. ამ ფულებიდან ჯამაგირბს მიუმატებენ იმ მასწავლებლებს, რომელთაც 1911 წელში ეძლეოდათ გადიდებული ჯამაგირი. იმავ სხდომაზე მინისტრთა საბჭომ მე-17-ტე მუხლის ძალით იმავ შკოლების შენობათა ასაგებათ გადადო 350 ათასი მანეთი.

**საზოგადოების ნება-დაურთველობა.** პეტერბურგში არ დაამტკიცეს ნოქართა საზოგადოება.

**საზოგადოებათა დახურვა.** ერთი კვირის განმავლობაში სენატმა უყურადღებოთ დატოვა სხვა და სხვა ქალაქების შვიდ პროფესიონალურ კავშირის საჩივრები უკანონოთ დახურვის და ნებადაურთველობის შესახებ.

**ჩხრეკა და დატუსაღება.** პოლტავაში გაჩხრიკეს და დაატუსაღეს მრავალი ინტელიგენტი.

**სასამართლოს დადგენილება.** ბარნაულში 123 კაცი გაასამართლეს და მიუსაჯეს სხვა და სხვა ვადით სასჯელი. დამნაშავეთ ბრალდებოდათ სახელმწიფო მამულების გაჩეხვა.

**მატროსები სამართალში.** პეტერბურგში ამ დღეებში გაასამართლებენ 65 მატროსს; მათ აბრალებენ ფარულ საზოგადოების წევრობას, რომლის მიზანია არსებულ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების დამხობა.

**გლეხებთან შეტაკება.** ნიჟნი-ნოვგოროდის ქალაქის გამგეობა თივას ათიბვინებდა გლეხებთან სადაო მიწაზე. გლეხებმა, რიცხვით ორმოცმა კაცმა, წინააღმდეგობის გაწევა განიზრახეს; რისთვისაც გამგეობამ პოლიციის დახმარებას მიმართა.

## უცხოეთი.

(გაზეთებიდან)

### ქვა-მადნების მუშათა საერთაშორისო კონგრესი.

ამსტერდამში ივლისში მოხდა ქვა-მადნების მუშათა საერთაშორისო კონგრესი კონგრესს დაესწრო 6 დელეგატი გერმანიიდან, 61 ინგლისიდან, 8—საფრანგეთიდან, 6 ბელგიიდან, სამი ამერიკის შეერთებულ შტატებიდან და ორი ჰოლანდიიდან. რუსეთის წარმომადგენელი კონგრესს არ დასწრებია. საზოგადოთ დელეგატების მიერ სიეზდზე წარმოდგენილ იყო ერთი მილიონი და ორასი ათასი შეკავშირებული მუშა. ყველაზე მეტი ძლიერი ორგანიზაცია ყოფილა ინგლისში, სადაც ამ დარგის მუშათა რიცხვი 588 ათასამდე ასულა; მეორე ადგილი უკავია შეერთებულ შტატებს (350 ათასი), მესამე გერმანიას (167 ათასი) და მეოთხე საფრანგეთს (40 ათასი). კონგრესმა მიიღო მთელი რიგი საყურადღებო რეზოლიუციათა საერთო გაფიცვის, 8 საათის სამუშაო დღის, მუშათა დაზღვევის, მინიმალურ ხელფასის, მადაროების ნაციონალიზაციის, ე. ი. სახელმწიფოზე გადაცემის შესახებ და ბევრი სხვა. საყურადღებო კამათი გამოიწვია კონგრესზე საყოველთაო გაფიცვის საკითხმა. ამ საკითხის შესახებ რეზოლიუციის პროექტის გამომუშავება მუშების მიერ არჩეულ სექციას მიენდო.—მადნების ნაციონალიზაციის შესახებ მიიღეს გერმანიის წარმომადგენლების, აზრი, რომელსაც დიდი უმრავლესობა მიემხრო. შემდეგ კონგრესი შეეხო გერმანიის მუშათა ქრისტიანულ პარტიას, რომლის მოქმედება კონგრესმა ერთხმათ აღიარა მუშათა საქმის ღალატათ.

შემდეგი კონგრესი მოწვეულ იქნება 1913 წ,

### ოსმალეთი.

ოსმალეთში თითქმის ყოველ საათში ერთი მეორეზე საყურადღებო ამბავი ხდება; არეულია მთელი სახელმწიფოს მკვიდრნი, არეულია თვით მართვა-გამგეობის სათავე. არც ერთი სამინისტრო დარწმუნებული არაა, რომ ერთი საათის შემდეგ ისევ ის იქნება მართვა-გამგეობის სათავეში; რამოდენიმე დღის უკან დიდი ვეზირი შევკეთ-ფაშა გადადგა სამსახურიდან, მისი ადგილი საიდ-ფაშამ დაიჭირა; ამ უკანასკნელმა შინაგან საქმის მინისტრთან ასიმ-ბეისთან ერთად პარლამენტში დეკლარაცია წაიკითხა იტალიასთან ომის შესახებ. აღნიშნა, რომ მთავრობა ისევ ძველ გზას ადგია, სამარცხვინო ზავს, ვინც უნდა ძალა დაგვატანოს, ხელს არ მოვაწერთო; აღნიშნა ინგლისის მეგობრობა, რუსეთთან კეთილი განწყობილება და პარლამენტის ნდობა მოითხოვა. პარლამენტიც თითქმის ერთხმათ ენდო მას და ის იყო სამინისტროს უნდა განეგრძო მოღვაწეობა, რომ დეპეშამ ამბავი მოიტანა-სამინისტრო გადადგაო. ოფიციალურათ სამინისტროს გადადგომა საზღვაო, საფინანსო და სამხედრო მინისტრების სამსახურიდან გადადგომამით ახსნეს. ნამდვილათ კი, როგორც ეხლა ირკვევა, მიზეზი სულ სხვა ყოფილა: სახელდობრ აჯანყებულ ჯარების მოთხოვნა—თუ სამინისტრო არ გადადგება, სატახტო ქალაქს იარაღით ავიღებთო. ერთის სიტყვით ეს კაბინეტიც ჯარების მოთხოვნილებათა მსხვერპლი შეიქნა. ასე რომ ახალგაზდა ოსმალთა რეჟიმს დიდი კრიზისი დაუდგა, ბევრი არეულ-დარეული საქმე უნდა მოაწესრიგოს და ვინ იცის იქნებ თვითონაც შთაინთქას ამ დროს და მით კიდევ მოხდეს ოსმალეთში სახელმწიფოებრივი გადატრიალება.

### ინგლისის სუფრაჟისტკები.

ეხლახან ციხიდან გაათავისუფლეს დატუსაღებული სუფრაჟისტკები; ეს გარემოება სიგნალი შეიქნა მინისტრების წინააღმდეგ საომარი კამპანიის დაწყებისა. ერთ-ერთ მიტინგზე, რომელიც გამოიწვია მუშათა დაზღვევის კანონის ძალაში შესვლამ ორგანიზაციულათ მოაწყვეს მინისტრ ლოიდ-ჯორჯზე დაცემა. უცნობმა ყმაწვილი დაეტაკა ხაზინის კანცლერს და წააქცია. იმავ დღეს დაატუსაღეს ორი ქალი, რომელნიც კალონიის მინისტრთა სახლს ცეცხლს უკიდებენ. გაზეთების ცნობით შინაგან საქმეთა მინისტრის ბინაზე ასაფეთქებელი ნივთიერებანი უნახავთ. ამ უკანასკნელ მინისტრით ძალიან გაბრაზებული არიან სუფრაჟისტკები, რადგან ის მიაჩნიათ ციხეში უკანასკნელათ შიმშილობის მიზეზათ.

ერთი სიტყვით სუფრაჟისტკები ერთობ უშიშრათ მოქმედებენ. პრემიერ მინისტრმა პოლიციის დახმარებასაც კი მიმართა, რადგან ეშინია, ვაითუ ჩემი სიკვდილის წინაშეც არ შეჩერდენო. ლიბერალების მიტინგი, რომელზედაც ასკვიტიც უნდა დასწრებოდა, გადადებულ იქნა; მიზეზი ისაა, რომ ასკვიტს შეეშინა სუფრაჟისტკების დაცემისა. სუფრაჟისტკების მიტინგზე ერთობ ცხარე სიტყვები წარმოითქვა, ერთმა ორატორმა ისიც კი წამოიძახა: კმარა სულ ლაპარაკი, დროა იარაღს მივმართოთო. სუფრაჟისტკების ასეთი სიმკაცრე გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მინისტრთა კაბინეტი ეხლა სხვა დროზე უფრო წინააღმდეგია, რომ ქალებს საარჩევნო უფლება მიეცეთ.

## დაბა-სოფელი.

ს. ქვემო-გომი. წელს აქ მოსავალი შედარებით შარშანდელთან უკეთესია. ამ ჟამათ აქაურ გლეხებს შემდეგი ხარჯები აქვთ გადასახადი: მოხელეების ჯამაგირი: კომლზე 10—3 მანეთამდე, ქუდის ფული 2—1 მანეთამდი, მიწის გადასახადი „ავენგა“ 15—3 მანეთამდი კომლზე. ამას დაუმატოთ თვეში ხუთი თუმანი ორი „სტრაჟნიკის“ ჯამაგირი, —რომელიც ყველა საზოგადოებას დააკუთვნეს, იულიიონ; ადვილი წარმოსადგენია თითქმის აუტანელი მდგომარეობა აქაური გლეხებისა; ქვემო გომის საზოგადოება სულ ერთი სოფლისაგან შესდგება, ამისათვის აქაურმა რწმუნებულებმა თხოვნით მიმართეს მთავრობას რომ სტრაჟნიკების დაქირავების მხრივ სხვა საზოგადოებას მიაწერონ, მაგრამ ცივი უარი მიიღეს ბაზრის უფროსისაგან.

მიუხედავათ ასეთი გაჭირვებულ მდგომარეობისა წელს აქაურებმა იდღესასწაულეს ივანე ნათლის მცემელის დღეობა, თუმცა შარშან შეჩვეულ იქნა ეს ჩვეულება, მარა წელს მაინც ვერ მოითმინეს და წელში გამწყვეტი ხარჯები გასწიეს. ეს დღე აქაური გლეხებისათვის დღესასწაული კი არა, დღე გამწარებისა უფროა, რადგან კომლზე საშუალოთ, რომ ავიღოთ სამ თუმნამდის ხარჯი მოსდით უოველ წლივ.

ნათლის მცემლის ეკლესიის შეკეთება, რომელმაც მთელი ზამთრის მუშაობა თითქმის თიბათვის დამდეგამდის და კომლზედ 4 მანეთამდე ფულათ წაართვა აქაურ გლეხებს,—როგორც იქნა დასრულდა; ორ-კლასიანი შკოლის დაარსებაც უკვე გადაწყვეტილია: საზოგადოებამ ამოირჩია ხუთი კაცი, რომელთაც დაავალა შკოლის აშენება-ხელმძღვანელობა.

გომელი.

**მუხიანის რაიონი.** ეს რაიონი სხვადასხვა ბაღებით არის ნაქები: კარგი ღირსების მოდის კომპოსტო, კარტოფილი და სხვა ბოსტნეული; აგრეთვე ხილიც. ყველა ეს სადგურ მუხიანიდან იგზავნება რუსეთის და კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებში. ვაჭარი ბევრია: თათარი, სომეხი, ქართველი და ებრაელი. ესენი იაფათ ყიდულობენ საქონელს და თვითონ ერთი-ორათ ყიდიან; და ამნაირად მყიდველი ჯიბეს ისქელებს და გამყიდველს კი არაფერი რჩება. 1905 წელს ს. საყულიაში მოეწყო ამხანაგობა, რომელიც პირდაპირ ქ. როსტოვს აგზავნიდა საქონელს და დიდ ფასებში ყიდდა, მარა რამდენიმე ვაჭრის წყალობით ამხანაგობამ შეწყვიტა მოქმედება, რის შემდეგ საქონლის ფასი ძლიერ დაეცა; მაგ. ახლა ფუთი კომპოსტო იყიდება 10—15 კაპ. მაშინ ივლისში—40—50 კაპ. ფასობდა. ვაშლი ფუთი იყიდება 40 კაპ. სხალი—30 კაპ. ზამთარი—3 მანეთი, მაშინ ზედმეტათ იყიდებოდა. ამას გარდა მოსული ვაჭრები ხშირათ ოინებს მიმართავდენ ხოლმე. იყიდიან ნისიათ საქონელს, მიეცემენ პატრონს კვიტანციას სახელ-გვა-

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის ძ-ბის საჯაჭრო სახლი
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას—ვინაიდან საზღვარგარეთისა და რუსეთის პირველ ხარისხოვან მწარმოებლებთან შეღავათიანი პირობებით არის შეკრული, შესაძლებლათ სცნო კონკურენციის
დასწიოს ფასი
საწერ და კანცელარიის საჭირო ნივთებზე.
ახალი პრეისკურანტები კანცელარიებს მუქთად დაურიგდება. მ.—10—4

? დავით ქეზაძე ? მ—10—4.

მკითხველების საყურადღებოთ
სავაჭროში ძმ. ფ და ლ. ფილიპოვების სავაჭროში
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.
დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების
ვარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, ფასები შესამჩნევად დაკლებულია. მ—5—4

რის მოუწერელათ და რამდენიმე კვირის შემდეგ მიიმალებიან და ამდენი საქონლის ფული რჩებათ გადაუხდელი. მაგალითათ, წელს მაისის ბოლოს უიდუდობდენ აქ, გორში მცხოვრებნი გიორგი და სანდრო მეზვრიშვილები. იყიდეს საქონელი ნისიათ, აქაურ მედუქნეებს ნაღდი ფული დატუვეს და გაქრენ. სულ 1000 მანეთამდი წაიღეს. ასეთმა ცარცვა—გლეჯაზე აგებულმა ვაჭრობამ მწარმოებელთა შორის დაბადა აზრი ვაჭრობის მოწესრიგებაზე: უნდათ გახსნან ს. მუხიანში ყველა გასაყიდელ საქონლის საწყობი, საიდანაც ყველა დიდ ქალაქების მეიდველს შეუძლია გამოიწეროს უშვამავლოთ ყველა საქონელი. საწყობი მოეწყობა კოოპერატიული პრინციპის თანახმათ.

არ იქნა და არ ედირსა აქაურ პატარა ბაზარს მოწყობა: სიბინძურე, უწესრიგოთ აგებული დუქნები, ღამე უსინათლობა, უდროოდროს არღნის ჭყრიალი—აი რა ამკობს აქაურობას. ბაზარს ვითომ ყავს მომვლელი, მარა სიტყვით; საქმით კი ვერას ვხედავთ! საჭიროა ამას თვით ხალხმა მიაქციოს ყურადღება, თორემ ასეთ სიბინძურეს სხვა და სხვა სენი მოყვება და გვიან იქნება წუხილი.

მუხიანის სამკითხველოს გამგეობა აწყობს სცენის მოყვარეთა წრეს, რომელიც სექტემბრამდი გამართავს ქართულ წარმოდგენებს რაიონის სხვა და სხვა სოფლებში. წარმოდგენის წინ ხალხს აუხსნიან თეატრის მნიშვნელობას და იმ პიესის შინაარსს, რომელსაც სდგამენ. —სამკითხველოს გამგეობამ უკვე იქირავა ადგილი, რაზედაც სამკითხველოს ბინა უნდა აშენდეს, შეძენილია ბინისათვის მასალა, მხოლოდ საქმის დაწყებას აბრკოლებს წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილების გამგეობა, რომელმაც 26 აპრილს 1912 წ. გადაწყვეტილი დახმარება, შენობის ასაგებათ, 150 მან. დღემდი ვერ გადასცა გამგეობას. საჭიროა დადგენილობა სისრულეში იქნას მოყვანილი, თორემ მარტო ოქმში შეტანა ვის რათ გამოადგება?!

წელს აქეთკენ პარკის მოსავალი ნაკლებია და ისიც თითქმის სულ მუქთათ ჩაიგდეს ხელში ჩარჩებმა. 10—11—12 მანეთს მეტს არ იძლეოდენ და წონაშიც იპარავდენ. დიდი, პატარა მცოდნე და გაუგებარი პარკს ვაჭრობს საკომისიოთ. თესლის დარიგებაც საკომისიოთ ხდება და ერთმანეთის ჯიბრზე სხვა და სხვა ფირმების თესლებს არიგებენ. ხეირობს ეს თესლი თუ არა, ამას არ დაგვიდევენ. წელს ყველა ფირმის თესლი წახდა. საჭიროა თესლის გავრცელებას დიდი ყურადღება მიექცეს, თორემ ეს საუკეთესო შემოსავლის წყარო ჩვენ გლეხობას ხელიდან გამოეცლება.

ს. სხივიშვილი.

ს. ჩიბათი. (გურია) როგორც საზოგადოთ გურიაში, ჩვენს სოფელშიც დიდი გაჭირვება არის. შიმშილობის გამო ფუთი სიმიდი მანეთად იყიდება მარა გასაყიდი რაც იყო, ზოგი ვაჭრებმა და ზოგიც სხვა სოფლებიდან ჩალანდრებმა გაზიდეს და აქ კი გასაყიდი აღარ იშოვება. ჩვენი სოფლის ვაჭრები ამ გაჭირვების დროს პურს როგორც სურთ ისე ყიდიან ამ წლის ჭირნახულის ბედი ამ ივლისის დარებზეა დამოკიდებული მანამ კი არაფერი ითქმის. სამაგიეროთ ავთამყოფობა ჯერჯერობით ძლიერ ნაკლებია. ეს რამდენიმე ხანია ჩვენში, ისევ თავი იჩინა ბოროტმოქმედებამ. ამას წინეთ ფულის გულისათვის მოკლეს საკმაოდ შეძლებული გლეხი ი. სარჯველაძე; აგრეთვე მოინდომეს დუქნების გატეხა. ამ დღეებში დაატუსაღეს და სამაზრო ციხეში გაგზავნეს ი. ს. და ს. ჭყონიები, დაქებენ ი. ჭყონიას. ამათ აბრა-

ლებენ ყაჩაღების ამხანაგობას და ადგილობრივი საამხანაგო (მცირე კრედიტი) ბანკის ფულების გატაცების განძრახვას.

## მუშათა ცხოვრება.

სამტრედიის რკ. გზ. დეპოს მემანქანეების თანაშემწეთა ცხოვრება. იყო დრო, და არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც სამტრედიელ ორთქლმავლის ბრიგადას შავი-ქვის ცარიელი ვაგონები სამტრედიიდან მარტო ყვირილამდი მიყავდა და ყვირილიდან ამ ვაგონების შორაპნამდის წასაყვანათ და აქიდან ყვირილამდის დატვირთული ვაგონების წამოსაყვანათ ცალკე განსაკუთრებული ბრიგადა იყო ყვირილაში დანიშნული, რომელსაც, რასაკვირველია, ჯეროვან სასყიდელსაც აძლევდენ ამ მუშაობისთვის. ერთი ხანია ეს წესი ვაგონების წაყვან-წამოყვანისა გააუქმეს და აღნიშნული ვაგონების წაყვან-წამოყვანა სამტრედიელ მემანქანეებს დააკისრეს და ისიც თითქმის სულ უსასყიდლოთ. ალბათ ესეც ზედმეტი ხარჯების გასაუქმებლათ. ბრიგადა ჩადის ყვირილაში დაღალულ-დაქანცული, ყვირილიდან აგზავნიან შორაპანში... და ის 4—5 საათი დრო, რომელიც ყვირილის დეპოში უნდა მოესვენებიათ, ამ ორ სადგურს შუა მგზავრობაში იხარჯება და ასე მიდის სამტრედიისკენ დაუსვენებლათ და ძალიან ხშირად მშიერიც. ასე უკულმართათაა დღეს აქ საქმე მოწყობილი და ამას ჯერ-ჯერობით ყურადღებას არავინ აქცევს. ან ვინ უნდა მიაქციოს ყურადღება როდესაც აქ იმისთანა გაუმაძღარი მემანქანეები მოიპოვებიან, რომლებიც, ოღონდ შავი-ქვის ვაგონების წაყვანა უხსენე—და სიხარულით თუ გინდა, სამს დღეს არაფერს ჭამენ.

საქმე იმაშია, რომ შავი ქვის ვაგონები სხვა ვაგონებთან შედარებით უფრო მსუბუქათ მიდის და ამიტომ ცოტათი მეტი მაზუთის გადარჩენა შეიძლება.

ეს ერთი ხანია, რაც დარდანელის სრუტე გაიხსნა. შავი-ქვის გადამზიდავ მატარებელთა მიმოსვლამ შესამჩნევათ მოიმატა. მართალია, წინეთაც არ იყო ზოგიერთ გაუმაძღარი მემანქანეების წყალობით კანონიერი მოსვენება და ახლა ხომ სულ არ აქვთ. მოსვენება. მოდიან მატარებელიდან თუარა, ხელმეორეთ მატარებლში წასვლამდი ის, ცოტა დრო რჩება, რომ ვამოძინებასაც კი ვერ ასწრებენ. კულტურულ—განმანათლებელ მოთხოვნილებათა და კმაყოფილებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. მოუსვენარი მუშაობით უფრო მეტათ თანაშემწეები იჩაგრებენ, ვინაიდან ამათ გაცილებით მეტი სამუშავო აქვთ ორთქლმავალზე. საჭიროაა ამათ თვითონვე იზრუნონ მოსვენების შესახებ.

დ—ო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშვალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ მელიტონ იაგ. მგალობლიშვილს, რომელმაც მიიღო შრომა და მოაგროვა, ქ. ფოთში, იანეულის ორკლასიანი შკოლის სასარგებლოდ ფულად ოცდაჩვიდმეტი მანეთი და 55 კაპ., მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე შემომწირველთ.

სია შემ. მწირველთა: ნიკოლოზ მახარაძე ხუთი მანეთი, მელიტ. მგალობლიშვილი, გერასიმე მგალობლიშვილი და მელქისედეკ მგალობლიშვილი, იორ. გარუჩავა, იორდანე და თომა კალანდაძე; დიმ. გიორგაძე. ალექსი ჩხიკვიშვილი და ირაკლი გიორგაძე ორ-ორი მანეთი; სიმონ კალანდაძე მანეთ ნახევარი; ქ. ჯამბერიძე, გიორგი ბასილაია, სიმ, გიორგაძე, გლ. დუმბაძე, ბესარ. დოლიძე—თითო მანეთი; ნიკ. ზამბახიძე, სიმ. გოგიბერიძე, ცენტერაძე ბარნაბე, ალ. ვასაძე, ნ. ჩავლეიშვილი, ელ. გუჯაბიძე, გ. ასათიანი, ილია მშვიდობაძე, ირაკლი დუმბაძე, ირ. კალანდაძე ათ-ათი შაური; ალ. ბოლქვაძე, თეოფ. ქლენტი ორ-ორი აბაზი; ივანე ჯამბერიძე. ნოე მამალაძე ექვსი შაური; ილ. ბოლქვაძე 25 კ.; ქრ. ბასილია, სანდრო თალაკვაძე, ბეს. სიჭინავა, მიხა გაბულაია, ნიკო ცოტაძე, ნეს. სარაჯიშვილი, მალ. გაბულაია თითო აბაზი.

იანეულის ორკლ. სამრევლ. შკ. სამზრუნველოს მინდობილობით მასწ. ფოკა ფქვიტინიძე

## ფოსტა.

ოზურგეთში—პ. სოლომონიშვილს. წერილი პარკის ფასების შესახებ მივიღეთ. არ იბეჭდება, იმიტომ რომ ასეთი ცნობები ჩვენ უკვე გვქონდა დაბეჭდილი. გამოგვზავნეთ სხვა ცნობები.

ი. ჩხეიძეს. მოგვაწოდეთ თქვენი ადრესი და წერილობით გიპასუხებთ.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. სულაქველიძე.

## ქუთაისის ბაზარი.

ფუთი სიმიდის ფქვილი ღირს მანეთი და ორი შაური—ექვსი აბაზი.

ფ. სიმიდი—თუთხმეტი შაური—ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ფ. ლობიო—შვიდი აბაზი, ჭყინტი ლობიო—ათი შაური.

ფ. კომბოსტო—აბაზი.

ფ. ქართოფილი—7 შაური—ორი აბაზი.

ფ. ხახვი—ექვსი აბაზი.

გირვანქა ერბო (კარაქი)—ოცდა თვრამეტი კაპიკი—ცხრა შაური.

ყველი ორ გირვანქა ნახევარი (ჩარექი)—ცხრა შაური.

ყველი გირვანქა—აბაზი.

გადაზელილი ყველი (სულგუნი) წყვილი—ხუთი შაური—ექვსი.

პური ფურნისა პირველი ხარისხის—სამი გირვანქა—თოთხმეტი კაპიკი, მეორე ხარისხის ცამეტი კაპიკი, მესამე ხარისხის თერთმეტი კაპიკი.

თორნის პური პირველი ხარისხის სამი გირვანქა 3 შაური. მეორე ხარისხის 14 კაპ.

ხორცი—ძროხისა ცამეტი კაპ.—თერთმეტი კაპ. (ადგილობრივი)

ხორცი—ცხვრისა ცამეტი კაპ.

ხორცი—კამეჩისა რვა კაპ.

ქათამი—ათი შაური—ოთხი აბაზი.

ვარია—აბაზი—ექვსი შაური.

შეშა—ურემი შვიდი აბაზიდან—ცამეტამდი.

ღვინო ადგილობრივი ფუთი—თორმეტ აბაზიდან—თექვსმეტამდი.

კიტრი—ასი სამ აბაზათ, არჩეული ოთხაბაზათ, ექვსი—რვა—შაურათ.

სხალი—ფუთი ორი აბაზი—ათი შაური.

თხილი— „ რვა აბაზი დაურჩეველი, თორმეტი აბაზი დარჩეული კაკალი.

პამიდორი ფუთი—შვიდი—რვა აბაზი.

თევზი რიონის გირვ. შვიდი შაური

ეტლი ერთი გზა ქალაქში ხუთი შაური, სადგურამდე შვიდი შაური. სადგურიდან ცხრა შაური.

### მუშა ხელი.

მიწის მუშა დღეში თავის ხარჯით—ოთხი აბაზი—მანეთი.

დურგალი ექვსი აბაზი—რვა აბაზი.

კალატოზი, რვა აბაზი—ცხრა აბაზი.

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33. 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.

სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)
პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი
ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,
რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.
კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ იანვარშივე დაურიგდება.
გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კაპ.
დანარჩენ შემთხვევებში უფასო.
ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.
ხელის მოწერა მიიღება:
1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.
წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:
წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას საკომისიოდ მიეცემა 5%.

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან
გაიხსნა საზაფხულოთ
მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის
ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის
წყლებთ სავაჭრო
სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა. მ—1—4.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში